სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/367

ქ. თბილისი

21 ნოემბერი 2019

მათემატიკის დეპარტამენტის უფროსის, დავით ნატროშვილის შუამდგომლობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, კილის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, დოქტორ დანილა პრიკაზჩიკოვის 2019 წლის 19 ნოემბრის წერილის, აღნიშნულ უნივერსიტეტთან გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულების პროექტის (Erasmus+K-107 პროექტი), სტუ-ის მათემატიკის დეპარტამენტის უფროსის, დავით ნატროშვილის შუამდგომლობისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ნება დაერთოს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლების მეორე წლის №8899-3 ჯგუფის სტუდენტ ციალა ქვათაძეს, მონაწილეობა მიიღოს კონკურსში, რომელიც გაიმართება „ერაზმუს+“-ის გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში კანდიდატთა შერჩევის მიზნით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**